

შპს გურჯაანი აგრო

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი.....	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	12
5. ამონაგები	16
6. საერთო მოგება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან.....	16
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
8. ძირითადი საშუალებები.....	17
9. ბიოლოგიური აქტივები	17
10. მარაგები	18
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
13. სესხები	18
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	19
15. პირობითი ვალდებულებები.....	19
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20
17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	20
მმართველობის ანგარიშგება	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გურჯაანი აგროს“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „გურჯაანი აგროს“ (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსურმა ინსტიტუტმა კომპანიაზე და მის მშობელ საწარმოზე გაცემული სესხების სანაცვლოდ დაისაკუთრა კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და ბიოლოგიური აქტივები. ფინანსური ინსტიტუტის მიერ კომპანიის დასაკუთრებული აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 51,040,094 ლარს. აქტივების დასაკუთრების სანაცვლოდ შეწყდა კომპანიის მიღებული სესხების აღიარება ჯამურად 4,049,640 ლარი. ფინანსურმა ინსტიტუტის მიერ დასაკუთრებული აქტივები კომპანიას გადაეცა 1 წლიანი იჯარით უპირატესი გამოსყიდვის უფლებით. კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდამა საწარმომ დამოკიდებულია ფინანსურ ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების შედეგებზე და მშობელი საწარმოსგან ფინანსურ დახმარებაზე, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია მშობელი საწარმოს საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე და უძრავი ქონების რეალიზაციით მოზიდულ ფინანსურ რესურსებზე. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ ვერ შევძელით დაგეგმილი აუდიტორული პროცედურების ჩატარება, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის გამოსატანად.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს მშობელი საწარმოს და მისი შვილობილი კომპანიების მიერ მიღებული სესხის გარანტორს და მის საკუთრებაში არსებული ქონება წარმოადგენს აღნიშნული სესხის უზრუნველყოფას. რაც გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მშობელი საწარმო და მისი შვილობილი კომპანიები ვერ უზრუნველყოფს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სესხის დაფარვას, კომპანია იქნება ვალდებული გადაიხადოს სესხის თანხა. კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში არ შეუფასებია თავდებობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ანარიცხის მოცულობა, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზის გამო, რომლებიც მოყვანილია მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე. მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ ვერ შევძელით მიგველო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება და შედეგად ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე.

აუდიტორის დასკვნაში, ჩვენი მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტი“ - ს სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2023

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გურჯაანი აგროს“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „გურჯაანი აგროს“ (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსურმა ინსტიტუტმა კომპანიაზე და მის მშობელ საწარმოზე გაცემული სესხების სანაცვლოდ დაისაკუთრა კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და ბიოლოგიური აქტივები. ფინანსური ინსტიტუტის მიერ კომპანიის დასაკუთრებული აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 51,040,094 ლარს. აქტივების დასაკუთრების სანაცვლოდ შეწყდა კომპანიის მიღებული სესხების აღიარება ჯამურად 4,049,640 ლარი. ფინანსურმა ინსტიტუტის მიერ დასაკუთრებული აქტივები კომპანიას გადაეცა 1 წლიანი იჯარით უპირატესი გამოსყიდვის უფლებით. კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ დამოკიდებულია ფინანსურ ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების შედეგებზე და მშობელი საწარმოსგან ფინანსურ დახმარებაზე, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია მშობელი საწარმოს საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე და უძრავი ქონების რეალიზაციით მოზიდულ ფინანსურ რესურსებზე. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ ვერ შევძელით დაგვემილი აუდიტორული პროცედურების ჩატარება, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის გამოსატანად.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს მშობელი საწარმოს და მისი შვილობილი კომპანიების მიერ მიღებული სესხის გარანტორს და მის საკუთრებაში არსებული ქონება წარმოადგენს აღნიშნული სესხის უზრუნველყოფას. რაც გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მშობელი საწარმო და მისი შვილობილი კომპანიები ვერ უზრუნველყოფს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სესხის დაფარვას, კომპანია იქნება ვალდებული გადაიხადოს სესხის თანხა. კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში არ შეუფასებია თავდებობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ანარიცხის მოცულობა, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზის გამო, რომლებიც მოყვანილია მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე. მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება და შედეგად ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე.

აუდიტორის დასკვნაში, ჩვენი მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტი“ - ს სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2023

შპს „გურჯაანი აგრო“

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	2,235,722	781,715
თვითღირებულება		(2,183,453)	(746,402)
საერთო მოგება		52,269	35,313
სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება		2,101,540	746,402
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯები		(2,101,540)	(746,402)
საერთო მოგება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან	6	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(581,155)	(423,046)
სხვა შემოსავალი		219,159	95,947
საოპერაციო ზარალი		(309,727)	(291,786)
საპროცენტო ხარჯი		(1,668,565)	-
მოგება საკუროსო სხვაობიდან		3,522,196	1,992,528
წმინდა მოგება		1,543,904	1,700,742
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		1,543,904	1,700,742

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე ჩხაიძე

შპს „გურჯაანი აგრო“

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	2,235,722	781,715
თვითღირებულება		(2,183,453)	(746,402)
საერთო მოგება		52,269	35,313
სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება		2,101,540	746,402
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯები		(2,101,540)	(746,402)
საერთო მოგება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან	6	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(581,155)	(423,046)
სხვა შემოსავალი		219,159	95,947
საოპერაციო ზარალი		(309,727)	(291,786)
საპროცენტო ხარჯი		(1,668,565)	-
მოგება საკუროსო სხვაობიდან		3,522,196	1,992,528
წმინდა მოგება		1,543,904	1,700,742
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		1,543,904	1,700,742

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



ალექსანდრე ჩხაიძე

შპს „გურჯაანი აგრო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	31,114,947	31,044,131	27,062,404
ბიოლოგიური აქტივები	9	25,497,349	20,934,710	12,751,068
არამატერიალური აქტივები		8,085	8,085	-
		56,620,381	51,986,926	39,813,472
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	10	799,056	2,795,273	2,940,389
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	-	158,860	3,016,624
ფული და ფულის ეკვივალენტები		1,174	144,181	6,279
		800,230	3,098,314	5,963,292
სულ აქტივები		57,420,611	55,085,240	45,776,764
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
კაპიტალი		26,553,234	21,535,208	10,029,392
დაგროვილი ზარალი		(1,829,989)	(2,767,356)	(3,473,377)
		24,723,245	18,767,852	6,556,015
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,929,520	803,794	1,005,156
სესხები	13	30,767,846	35,513,594	38,215,593
		32,697,366	36,317,388	39,220,749
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		57,420,611	55,085,240	45,776,764

შპს „გურჯაანი აგრო“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2021 წლის 1 იანვარი	10,029,392	(3,473,377)	6,556,015
წლის სრული შემოსავალი	-	1,700,742	1,700,742
ოპერაცია მფლობელის გადაწყვეტილებით	-	(994,721)	(994,721)
კაპიტალის შევსება ფულადი საშუალებებით	12,700,213	-	12,700,213
კაპიტალიდან გატანა ფულადი საშუალებებით	(949,997)	-	(949,997)
ფინანსური აქტივის გატანა	(244,400)	-	(244,400)
2021 წლის 31 დეკემბერი	21,535,208	(2,767,356)	18,767,852
წლის სრული შემოსავალი	-	1,543,904	1,543,904
ოპერაცია მფლობელის გადაწყვეტილებით	-	(606,537)	(606,537)
კაპიტალის შევსება ფულადი საშუალებებით	5,266,506	-	5,266,506
ფინანსური აქტივის გატანა	(248,480)	-	(248,480)
2022 წლის 31 დეკემბერი	26,553,234	(1,829,989)	24,723,245

შპს „გურჯაანი აგრო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,543,904	1,700,742
კორექტირებები:			
ზარალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან	7	83,861	-
საპროცენტო ხარჯი	8;9;13	1,668,565	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	11	120,616	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	1,273,740	638,748
სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება	6	2,101,540	746,402
მოგება საკუროსო სხვაობიდან		(3,522,196)	(1,992,528)
		3,270,030	1,093,364
ცვლილება სამუშაო კაპიტალში			
მარაგების ზრდა		(832,476)	(1,596,007)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(89,620)	(307,400)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		160,601	14,210
		2,508,535	(795,833)
გადახდილი პროცენტები	13	(3,154,619)	(2,850,402)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(646,084)	(3,646,235)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(755,087)	23,757
ბიოლოგიური აქტივების შეძენა		(3,388,485)	(6,426,166)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(8,085)
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული თანხები		311,799	-
		(3,831,773)	(6,410,494)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების აღება	13	3,739,506	-
სესხების დაფარვა	13	(4,671,162)	(1,555,585)
კაპიტალის შევსება		5,266,506	12,700,213
კაპიტალის გატანა		-	(949,997)
		4,334,850	10,194,631
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(143,007)	137,902
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		144,181	6,279
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის		1,174	144,181

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გურჯაანი აგრო“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2010 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ. 12. კომპანიის 100 % მფლობელი და საბოლოო მშობელი საწარმო არის შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, ხოლო საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი ბატონი ზურაბ ჩხაიძე (100% წილის მფლობელი).

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ვენახების გაშენება და ყურძნის მოსავლის მოყვანა, რომლის რეალიზაციაც სრულად ხდება მშობელი საწარმოზე. კომპანიამ აქტიურად დაიწყო ვენახების გაშენება 2019 წელს.

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიამ გადაწყვიტა ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაციის წარდგენა მხოლოდ ერთი წლისათვის. ამგვარად, მისი ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2021 წლის 1 იანვარი.

კომპანია იყენებს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანია არ იყენებს ფასს სტანდარტების სხვადასხვა ვერსიას, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში. კომპანია არ იყენებს ახალ ფასს-ს, რომელიც ჯერ კიდევ სავალდებულო არაა, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი გამოყენება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ინსტიტუტის მიერ კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივების დასაკუთრების გარემოება და მისი გამოსყიდვის შესაძლებლობა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებულია არსებით განუსაზღვრელობასთან.

გარემოებები რომლებიც მიუთითებს საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობაზე

როგორც ეს აღწერილია მე-16 განმარტებით შენიშვნაში, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსურმა ინსტიტუტმა კომპანიაზე და მის მშობელ საწარმოზე გაცემული სესხების სანაცვლოდ დაისაკუთრა კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და ბიოლოგიური აქტივები. ფინანსური ინსტიტუტის მიერ დასაკუთრებული აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

51,040,094 ლარს. აქტივების დასაკუთრების სანაცვლოდ შეწყდა კომპანიის მიღებული სესხების აღიარება ჯამურად 4,049,640, ხოლო მშობელი საწარმოს მიღებული სესხების აღიარება ჯამურად 26,193,088. ფინანსურმა ინსტიტუტის მიერ დასაკუთრებული აქტივები კომპანიას გადაეცა 1 წლიანი იჯარით. იჯარის წლიური ფასი შეადგენს 1,356,000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს. 1 წლის შემდეგ კომპანიას აქვს აქტივების უპირატესი გამოსყიდვის უფლება. გამოსყიდვის ჯამური ფასი 11,069,000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

ხელმძღვანელობის მომავალი წლის პროგნოზზე დაყრდნობით, კომპანია ვერ შეძლებს დამოუკიდებლად საოპერაციო საქმიანობის დაფინანსებას. განუსაზღვრელია მშობელი საწარმო შეძლებს თუ არა კომპანიის ფინანსურ უზრუნველყოფას იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კომპანიის ფუნქციონირების შესანარჩუნებლად.

ხელმძღვანელობის გეგმა კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების შესანარჩუნებლად

ხელმძღვანელობის მოლოდინით, კომპანია შეძლებს:

- მშობელი საწარმოსგან ფინანსურ უზრუნველყოფის იმ მოცულობით მიღებას, რაც აუცილებელია კომპანიის ფუნქციონირების შესანარჩუნებლად, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია მშობელი საწარმოს საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე და უძრავი ქონების რეალიზაციით მოზიდულ ფინანსურ რესურსებზე.
- ფინანსურ ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების საფუძველზე, იჯარის ვადის გაგრძელებას, სესხების რესტრუქტურისაციას და გადახდის გრაფიკის განახლებას მშობელი საწარმოს მიერ კომპანიის დაფინანსების შესაძლებლობის შესაბამისად;
- კრედიტორებთან შეთანხმებას გადახდის შეღავათიან გრაფიკზე;

მშობელი საწარმოს ფინანსური მხარდაჭერის მოცულობის და ფინანსურ ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების შედეგის ზუსტი შეფასება ამჟამად შეუძლებელია.

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ა) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი სტანდარტები და შესწორებები

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას, იმის შესახებ თუ როდის შეიძლება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა პირველადი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად ბასს 12.5-ს დავამატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გათავისუფლება არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს

ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება უკუიჯარის პირობით გაყიდვა ცვლად გადასახდელებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადასახდელები“ ან „გადახდელი საიჯარო გადასახდელები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ბასს 1 ფინანსური ანგარიშების წარდგენა (შესწორება - ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენტანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში.

შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს თუ უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ შემთხვევაში თუ საწარმო ვალდებულია შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, თუ საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება ასევე განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით

COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კომპანიის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახდავს ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)**3.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.4 სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე, ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.5 ვალდებულებები ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან

კომპანია გაცემული აქვს ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ამგვარი ხელშეკრულება ფასდება ფასის 9-ის მოთხოვნებით შეფასებული მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და კუმულაციური ამორტიზაციით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით. კომპანია აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებს

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	-	44,117	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,174	144,181	-
სულ ფინანსური აქტივები	1,174	188,298	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,841,042	803,794	1,005,156
სესხები	30,767,846	35,513,594	38,215,593
სულ ფინანსური ვალდებულებები	32,608,888	36,317,388	39,220,749

4. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიას ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოდგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიღებული სესხები მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 8%-დან 16%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. მიღებული სესხების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების

4. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის შიდა აუდიტორები დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ კომპანიის ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს დენომინირებულს უცხოურ ვალუტაში.

	31.12.2022		31.12.2021		01.01.2021	
	USD	EUR	USD	EUR	USD	EUR
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	870,165	-	-	-	-
სესხები	25,614,960	3,134,393	29,365,955	-	31,062,172	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	25,614,960	4,004,558	29,365,955	-	31,062,172	-
წმინდა სავალუტო პოზიცია	(25,614,960)	(4,004,558)	(29,365,955)	-	(31,062,172)	-

კომპანიის მგრძნობელობა აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილებების მიხედვით.

	31.12.2022		31.12.2021	
	აშშ ოლარი/ლარი + 20%	აშშ ოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2022	(5,122,992)	5,122,992	(800,912)	800,912
მოგება/(ზარალი) 2021	(5,873,191)	5,873,191	-	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში. ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას.

	2022		2021	
	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი)	307,678	(307,678)	355,136	(355,136)

4. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებლის დაფინანსების წყაროს, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	-	44,117	-
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	1,174	144,181	6,279
სულ	1,174	188,298	6,279

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,841,042	-	-	1,841,042
სესხები	3,248,741	37,044,666	-	40,293,407
ფინანსური ვალდებულებები 31.12.2022	5,089,783	37,044,666	-	42,134,449
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	803,794	-	-	803,794
სესხები	5,509,198	35,873,488	1,831,413	43,214,099
ფინანსური ვალდებულებები 31.12.2021	6,312,992	35,873,488	1,831,413	44,017,893
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,005,156	-	-	1,005,156
სესხები	3,717,459	34,677,353	13,631,075	52,025,888
ფინანსური ვალდებულებები 01.01.2021	4,722,615	34,677,353	13,631,075	53,031,044

ლიკვიდურობის ანალიზი მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ფინანსური ინსტიტუტები ფინანსური შეზღუდვების დარღვევით წარმოქმნილ სესხების სრული ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვის უფლებას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 13.

შპს „გურჯაანი აგრო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ამონაგები

კომპანიის ამონაგები სრულად ფორმირებულია ყურძნის რეალიზაციიდან, რეალიზაცია სრულად განხორციელდა მშობელ საწარმოზე.

6. საერთო მოგება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

კომპანიას აქვს გაშენებული საფერავის ჯიშის ყურძენი. 2022 წლის ბოლოს ვენახის ნაწილი შევიდა ექსპლუატაციაში. კომპანია ვენახების მსხმოიარებაში გადასვლამდე იღებდა მოსავალს, 2022 წელს მიიღო 1,532 ტონა მოსავალი, რომლის რეალური ღირებულება გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით შეადგენდა 2,101,540 ლარს, (2021: 531 ტონა, ღირებულებით 746,402 ლარი).

ხელმძღვანელობა ვენახის ზრდის პერიოდში მიღებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტს აღიარებს მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორც პერიოდის ხარჯს. ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ სოფლის მეურნეობის საქმიანობა არ იქნება წაგებიანი, ამიტომაც აღიარებს დანახარჯებს ნულოვანი მარჟის გათვალისწინებით.

ცხრილი გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხარჯებს.

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	(1,001,150)	(355,577)
დამხმარე მასალების ჩამოწრა	(564,744)	(200,579)
ცვეთა და ამორტიზაცია	(402,201)	(142,849)
სხვა	(133,445)	(47,397)
სულ	(2,101,540)	(746,402)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(335,961)	(279,820)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	(120,616)	-
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან	(83,861)	-
სხვა ხარჯები	(40,717)	(143,226)
სულ	(581,155)	(423,046)

შპს „გურჯაანი აგრო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	დანადგარები	მშენებარე აქტივები	ტრანსპორტი	სულ
01.01.2021	5,936,080	5,953,340	29,028	380,929	8,396,720	7,455,696	28,151,793
შემოსვლა	63,145	-	661	165,962	2,503,571	99,428	2,832,767
სესხის დანახარჯები	-	-	-	-	1,787,708	-	1,787,708
ტრანსფერი	-	1,012,539	-	-	(1,012,539)	-	-
31.12.2021	5,999,225	6,965,879	29,689	546,891	11,675,460	7,555,124	32,772,268
შემოსვლა	-	40,787	11,160	1,200	1,687,069	-	1,740,216
გასვლა	-	(7,055)	(6,171)	(6,093)	(45,385)	(466,120)	(530,824)
ტრანსფერი	-	11,741,232	-	-	(11,741,232)	-	-
31.12.2022	5,999,225	18,740,843	34,678	541,998	1,575,912	7,089,004	33,981,660
დაგროვილი ცვეთა							
01.01.2021	-	(9,373)	(7,311)	(291,870)	-	(780,835)	(1,089,389)
ცვეთის ხარჯი	-	(13,572)	(13,349)	(71,025)	-	(540,802)	(638,748)
31.12.2021	-	(22,945)	(20,660)	(362,895)	-	(1,321,637)	(1,728,137)
ცვეთის ხარჯი	-	(627,695)	(19,534)	(85,986)	-	(540,525)	(1,273,740)
გასვლა	-	7,055	5,853	6,074	-	116,182	135,164
31.12.2022	-	(643,585)	(34,341)	(442,807)	-	(1,745,980)	(2,866,713)
საბალანსო ღირებულება							
01.01.2021	5,936,080	5,943,967	21,717	89,059	8,396,720	6,674,861	27,062,404
31.12.2021	5,999,225	6,942,934	9,029	183,996	11,675,460	6,233,487	31,044,131
31.12.2022	5,999,225	18,097,258	337	99,191	1,575,912	5,343,024	31,114,947

კომპანიის ძირითადი საშუალებები წარმოადგენს მიღებული სესხების უზრუნველყოფას. იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 13, 15, 16.

კომპანია სესხის სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს აკაპიტალიზებს განსაკუთრებულ აქტივზე. 2021 წელს კომპანიამ დააკაპიტალიზა მშენებარე აქტივებზე საპროცენტო ხარჯი 1,709,960 ლარი და საკურსო სხვაობა 77,748 ლარი.

9. ბიოლოგიური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ვენახები	მზარდი ვენახები	სულ
01.01.2021	-	12,751,068	12,751,068
შემოსვლა	-	6,426,166	6,426,166
სესხის დანახარჯები	-	1,757,476	1,757,476
31.12.2021	-	20,934,710	20,934,710
შემოსვლა	-	3,388,485	3,388,485
სესხის დანახარჯები	-	1,174,154	1,174,154
ექსპლუატაციაში შესვლა	21,653,447	(21,653,447)	-
31.12.2022	21,653,447	3,843,902	25,497,349
საბალანსო ღირებულება			
01.01.2021	-	12,751,068	12,751,068
31.12.2021	-	20,934,710	20,934,710
31.12.2022	21,653,447	3,843,902	25,497,349

კომპანიის ბიოლოგიური აქტივები წარმოადგენს მიღებული სესხების უზრუნველყოფას. იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 13, 15, 16.

კომპანია სესხის სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს აკაპიტალიზებს განსაკუთრებულ აქტივზე. 2022 წელს კომპანიამ დააკაპიტალიზა მშენებარე აქტივებზე საპროცენტო ხარჯი 1,668,644 ლარი და შეამცირა საწყის ნაშთში კაპიტალიზებული საკურსო სხვაობა 494,490 ლარი, (2021: საპროცენტო ხარჯი 1,681,043 ლარი და საკურსო სხვაობა 76,433 ლარი).

შპს „გურჯაანი აგრო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. მარაგები

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
ვენახის ნაგებობისთვის განკუთვნილი მარაგები	644,799	2,462,394	2,592,331
სხვა	154,257	332,879	424,293
სულ	799,056	2,795,273	3,016,624

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
სავაჭრო მოთხოვნები	2,322,233	1,639,197	600,359
საექვო ვალების რეზერვი	(2,322,233)	(1,595,080)	(600,359)
სულ ფინანსური მოთხოვნები	-	44,117	-
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	-	-	2,920,764
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	114,743	95,860
სულ	-	158,860	3,016,624

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საექვო ვალების რეზერვის მოძრაობას:

	2022	2021
1 იანვარი	(1,595,080)	(600,359)
დამფუძნებლის დავალებით შესრულებული ოპერაცია კაპიტალში	(606,537)	(994,721)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(120,616)	-
31 დეკემბერი	(2,322,233)	(1,595,080)

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
სავაჭრო ვალდებულებები	1,814,119	776,871	991,989
გადასახდელი ხელფასები	26,923	26,923	13,167
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,841,042	803,794	1,005,156
საგადასახადო ვალდებულებები	88,478	-	-
სულ	1,929,520	803,794	1,005,156

13. სესხები

	2022	2021
1 იანვარი	35,513,594	38,215,593
სესხის აღება	3,739,506	-
საპროცენტო ხარჯი	3,337,209	3,391,003
გადახდილი პროცენტი	(3,154,619)	(2,850,402)
ძირის გადახდა	(4,671,162)	(1,555,585)
საკურსო სხვაობა	(3,996,682)	(1,687,015)
31 დეკემბერი	30,767,846	35,513,594

კომპანია წარმოადგენს მშობელი საწარმოს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდეგში ჯგუფი) მიერ მიღებული სესხის გარანტორს და მის საკუთრებაში არსებული ქონება წარმოადგენს აღნიშნული სესხის უზრუნველყოფას. კომპანიის მიერ მიღებული სესხების ხელშეკრულებები შეიცავს ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს ძირითადი ფინანსური შეზღუდვაა: სესხის მომსახურების კოეფიციენტი არ უნდა იყოს ნაკლები 1.3. სესხის მომსახურების კოეფიციენტი ანგარიშდება მშობელი საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან.

მშობელი საწარმოს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა აღნიშნულ კოეფიციენტს. კოეფიციენტის დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოეკმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს სესხების სრული ან ნაწილობრივ დაფარვა ვადაზე ადრე. შესაბამისად სესხები სრულად წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი.

დამატებითი ინფორმაციით იხილე განმარტებითი შენიშვნა 16.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მშობელ საწარმოს, მშობელი საწარმოს სხვა შვილობილებს და საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს. ცხრილი გვიჩვენებს ოპერაციებს და ნაშთებს დაკავშირებულ მხარეებთან.

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
ნაშთები			
სავაჭრო მოთხოვნები მშობელი: საწარმოს შვილობილები	2,201,617	1,595,080	600,359
სავაჭრო მოთხოვნები: სხვა დაკავშირებულ მხარეები	120,616	44,117	-
საექვო ვალების რეზერვი	(2,322,233)	(1,595,080)	(600,359)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	-	44,117	-
სავაჭრო ვალდებულებები	200	4,300	-
ოპერაციები			
ამონაგები მშობელი საწარმოდან	2,173,972	781,715	
სხვა შემოსავალი მშობელი საწარმოს სხვა შვილობილებიდან	145,763	75,797	

კომპანია წარმოადგენს მშობელი საწარმოს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდეგში ჯგუფი) მიერ მიღებული სესხის გარანტორს. იხილეთ შენიშვნა 15.

კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა არ განსხვავდება ჯგუფის უმაღლესი ხელმძღვანელობისგან. უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურების გაცემა არ ხდება კომპანიისგან.

ოპერაციების კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში:

კომპანიამ მშობელი საწარმოს შვილობილებს მიაწოდა მარაგები. მიწოდებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნა აღიარდა სამართლიანი ღირებულებით, რომელიც უტოლდება მომავალი ფულადი ნაკადების საბაზრო საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას და რომელიც არსებითად უტოლდება ნულს. სხვაობა ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ღირებულებას და საწყის აღიარებას შორის წარდგება პირდაპირ კაპიტალში, რადგან ოპერაცია განხორციელდა მფლობელის გადაწყვეტილებით.

15. პირობითი ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები - კომპანია წარმოადგენს მშობელი საწარმოს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდეგში ჯგუფი) მიერ მიღებული სესხის გარანტორს და მის საკუთრებაში არსებული ქონება წარმოადგენს აღნიშნული სესხის უზრუნველყოფას. ჯგუფის სესხების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 160 მლნ ლარს. კომპანია ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებას საწყისად აღიარებს რეალური ღირებულებით. თავის მხრივ ჯგუფი წარმოადგენს კომპანიის სესხების გარანტორს. ხელმძღვანელობის შეფასებით გაცემული ფინანსური გარანტიების რეალური ღირებულება საწყისი აღიარებისას არაარსებითია და არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დაკავშირებული მხარის მიერ ფინანსური ინსტიტუტის მიერ სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა დაბალია და შეფასებული საკრედიტო ზარალის თანხა არ აჭარბებს საწყისი აღიარებისას შეფასებულ რეალური ღირებულების არაამორტიზებულ მოცულობას, შესაბამისად, ანარიცხი არ არის აღიარებული.

დავები - 2022 წელს კომპანიის წინააღმდეგ დაიწყო დავა მომწოდებელმა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ არ აღიარა მომწოდებლის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულება ძირითადი საშუალებების მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვასთან მიმართებით. აღნიშნული შესყიდვის ჯამური მოცულობა შეადგენს 658,000 ლარს. მომჩივანის მიერ მოთხოვნილი ჯამური თანხა შეადგენს 783,000 საიდანაც 658,000 არის ძირი, ხოლო 125,000 მიუღებელი შემოსავალი. კომპანიას მიაჩნია, რომ მიაღწევს შეთანხმებას მომწოდებელთან მოლაპარაკების საფუძველზე. ხელმძღვანელობის შეფასებით დავა არის საწყის ეტაპზე, აქედან გამომდინარე დავის შედეგების საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი. აღნიშნულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით ანარიცხი მიუღებელ შემოსავალზე არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია სავაჭრო ვალდებულება 601,000 ლარი.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოხდა არამაკორექტირებელი ბალანსშემდგომი მოვლენა:

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსურმა ინსტიტუტმა კომპანიაზე და მის მშობელ საწარმოზე გაცემული სესხების სანაცვლოდ დაისაკუთრა კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და ბიოლოგიური აქტივები. ფინანსური ინსტიტუტის მიერ დასაკუთრებული აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 51,040,094 ლარს. აქტივების დასაკუთრების სანაცვლოდ შეწყდა კომპანიის მიღებული სესხების აღიარება ჯამურად 4,049,640, ხოლო მშობელი საწარმოს მიღებული სესხების აღიარება ჯამურად 26,193,088.

ფინანსურმა ინსტიტუტის მიერ დასაკუთრებული აქტივები კომპანიას გადაეცა 1 წლიანი იჯარით. იჯარის წლიური ფასი შეადგენს 1,356,000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს. 1 წლის შემდეგ კომპანიას აქვს აქტივების უპირატესი გამოსყიდვის უფლება. გამოსყიდვის ჯამური ფასი 11,069,000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარი.

ცხრილი გვიჩვენებს ფინანსურმა ინსტიტუტის მიერ დასაკუთრებული აქტივების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქვეჯგუფების მიხედვით.

	მიწები	ნაგებობები	მშენებარე აქტივები	ბიოლოგიური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება	5,869,575	18,097,258	1,575,912	25,497,349	51,040,094

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

17.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა**

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. 2022, 2021 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.504
2021 წლის 1 იანვრისთვის	3.2766	4.0233

17.2 მონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ყურძნის რეალიზაციას. ამონაგები ყურძნის რეალიზაციიდან აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტები არის ფიქსირებულფასიანი. კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

17.3 იჯარა

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს. კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი იჯარები.

17.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

17.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

17.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	15-50
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5
დანადგარები	5-25
ავტოტრანსპორტი	7-10
მიწა	არ ერიცხება ცვეთა
მშენებარე აქტივები	არ ერიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

17.7 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შერბუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის)

საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შერბუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

17.8 მარაგები

მარაგები გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტისა

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

17.9 ბიოლოგიური აქტივები

მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

მრავალწლიანი ნარგავები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მრავალწლიანი ნარგავების კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი არის იმ კონდიციაში რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად. მრავალწლიანი ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 50 წელს.

17.10 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 10 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

17.11 სესხით სარგებლობის დანახარჯები

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები აღირიცხება აღნიშნული აქტივის თვითღირებულებაში. ამგვარი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება როგორც აქტივის თვითღირებულების ნაწილი, როდესაც მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები საწარმოს მომავალში მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება.

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ის დანახარჯები, რომელთა თავიდან აცილება

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შესაძლებელი იქნებოდა, აუცილებელი რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებულ აქტივთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებში შედის: საპროცენტო ხარჯი, რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, თუ იგი განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება.

კაპიტალიზაციისთვის შესაბამისი უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა განისაზღვრება კუმულაციის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა ჯამური საპროცენტო ხარჯის მოცულობას, რომელიც წარმოიშობოდა კომპანიას რომ აეღო სესხი სამუშაო ვალუტაში (ქართულ ლარში). კუმულაციური მეთოდის გამოყენებისას უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი კაპიტალიზებადი საკურსო სხვაობის თანხა არ შეიძლება აღმატებოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ჯამურად წარმოშობილ უცხოურ ვალუტაში არსებულ სესხთან დაკავშირებულ საკურსო სხვაობის თანხას. იგი განიხილავს მთელ სამშენებლო პროექტს, როგორც საანგარიშო ერთეულს, რომელიც უგულვებელყოფს საანგარიშგებო პერიოდის თარიღებს. უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, რომელიც განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება, წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასებას. კომპანია განსაზღვრავს ჰიპოთეტურ საპროცენტო განაკვეთს სამუშაო ვალუტაში არსებული სესხისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ქართულ ლარში აღებული სესხების საფუძველზე.

თუ სესხის აღება ხდება რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის მისაღებად, ამ აქტივთან მიმართებით ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებად ნაწილს საწარმო განსაზღვრავს საანგარიშგებო პერიოდში ამ სესხთან დაკავშირებით გაწეული ნასესხები სახსრების ფაქტობრივი დანახარჯებიდან იმ საინვესტიციო შემოსავლების თანხის გამოქვითვით, რომელიც მიიღება მოცემული სესხის მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებიდან.

თუ საწარმომ აიღო ჩვეულებრივი, საერთო დანიშნულების სესხი, მაგრამ გამოიყენა რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხის დასადგენად გამოიყენება ამ აქტივზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა. 2022 და 2021 წელს გამოყენებულია ლარის სესხებისთვის 14%-16%, დოლარის სესხებისთვის 8%-9%.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში იწყება როდესაც საწარმო პირველად დაკამაფილდება ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

- განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;
- გაწეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;
- დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია დროებით ჩერდება როდესაც შეფერხდება აქტივზე აქტიური სამუშაოების წარმართვის პროცესი. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი წყდება როდესაც ძირითადად, მთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა აქტიური სამუშაო.

17.12 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

17.13 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელი.

17.14 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივი აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სხვა ხარჯების მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება

ხელშეკრულება, რომელიც მოითხოვს, რომ ემიტენტმა წინასწარგანსაზღვრული თანხები გადაუხადოს მფლობელს იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელსაც მიიღებს იმის გამო, რომ გარკვეულმა დებიტორმა, სავალო ინსტრუმენტისთვის თავდაპირველად დადგენილი ან შეცვლილი პირობების შესაბამისად, დროულად ვერ გადაუხადა ვალი.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ამგვარი ხელშეკრულება ფასდება ფასს 9-ის მოთხოვნებით შეფასებული მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და კუმულაციური ამორტიზაციით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

17.15 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

17.16 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „გურჯაანი აგრო“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

საქმიანობის აღწერა

შპს „გურჯაანი აგრო“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2010 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ. 12. კომპანიის 100 % მფლობელია შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, ხოლო საბოლოო ბენეფიციარი ზურაბ ჩხაიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ვენახების გაშენება და ყურძნის მოსავლის მოყვანა, რომლის რეალიზაციაც სრულად ხდება მშობელი საწარმოზე.

კომპანიას გაშენებული აქვს ვენახები. ვენახების გაშენება დაიწყო 2019 და 2021 წლებში, სულ 534 ჰა. 2022 წლის ბოლოს ექსპლოატაციაში შევიდა 2019 წელს გაშენებული ვენახი, ჯამურად 450 ჰა. ხოლო დარჩენილი ნაწილი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის წარმოადგენდა მზარდს.

სტრატეგია და მიზნები

კომპანია არის საწყის ეტაპზე, 2022 წელს მზარდი ვენახებიდან ჯამურად მიღებულია 1,532 ტონა საფერავის ყურძენი, რაც 3 - ჯერ მეტია 2021 წლის მაჩვენებელთან მიმართებით (531 ტონა). კომპანიის ხელმძღვანელობა 2023 წელს იმედოვნებს მოსავლის მნიშვნელოვან ზრდას რაოდენობრივ გამოხატულებაში, რადგანაც ვენახების 84 % პერიოდის ბოლოს შევიდა ექსპლოატაციაში. ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ 2023 წელს ზრდასრულ ვენახზე მიიღებს 1 ჰა-ზე (5-7) ტონა მოსავალს, ასევე მნიშვნელოვნად გაიზრდება 2021 წელს გაშენებული ვენახის თანმდევი მოსავალიც, რომლის ექსპლოატაციაში მიღება 2024-2025 წლებში იგეგმება.

ინფორმაცია ფილიალების შესახებ

კომპანიას ფილიალები არ გააჩნია. გაშენებული ვენახები მდებარეობს კახეთის რეგიონში.

მმართველობა და სტრუქტურა

კომპანიას დასაქმებული ყავს ვენახების მოვლასთან დაკავშირებული თანამშრომლები, ასევე ადმინისტრაციული თანამშრომლები აღრიცხვის ნაწილში. გადაწყვეტილებების მიღება ხდება ცენტრალიზებულად მშობელი საწარმოს მიერ, ასევე სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ხდება მშობელი საწარმოს მიერ, ხოლო უშუალოდ საოპერაციო ნაწილში დასაქმებული თანამშრომლები უზრუნველყოფენ ვენახების მოვლას. 2022 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 225 თანამშრომელი, უმეტესი წილი დასაქმებულიდან მოდის დღიურ მომსახურე პერსონალზე.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კვლევა ძიების სამუშაოები არ აქვს კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

კომპანია წარმოადგენს სტარტაპს, შესაბამისად მომგებიანობის კოეფიციენტების შეფასება არ ხდება, რადგანაც მზარდი ვენახების საფუძველზე პერიოდის შედეგი არ გამოხატავს კომპანიის რეალურ სურათს.

ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ

საანგარიშგებო წლის მანძილზე არ განუხორციელებია წილის და აქციების შეძენა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური რისკები

კომპანია დგას მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე. კომპანიას აქვს მიღებული სესხი ბანკისგან, კომპანიისგან დამოუკიდებლად ასევე მშობელი საწარმოს დგას მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოხდა ბანკის მხრიდან აქტივების შესყიდვა სესხის სანაცვლოდ და უკან უკუიჯარით დაბრუნება. (იხ. ბალანსშემდგომი მოვლენების განმარტებითი შენიშვნა). კომპანიას აქვს ოფცია დაიბრუნოს აქტივები, უმაღლესი ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ 1 წლის შემდეგ ჯგუფის დახმარებით შეძლებს უკუიჯარით გამოისყიდოს ის მიწები, რომელზეც ვენახებია გაშენებული.

საოპერაციო რისკები

დღიური მუშახელის ნაკლებობა - მომსახურების გაძვირება - კომპანიას დროის კონკრეტულ პერიოდში სჭირდება დღიური მუშახელი დიდი ოდენობით, ძირითადად სეზონური სამუშაოსთვის სექტემბერში. მიმდინარე პერიოდში კომპანიას შეექმნა გარკვეულწილად დღიური მუშახელის დეფიციტი, ასევე აღსანიშნავია, რომ მოხდა დღიური განაკვეთის ზრდა. კომპანია აღნიშნული რისკს ანეიტრალებს მუშახელთან წინასწარ შეთანხმებით, როგორც სეზონურ პერიოდზე, ასევე დღიურ განაკვეთზე.

შპს „გურჯაანი აგრო“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

სტიქიური უბედურების რისკი - კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ვენახების გაშენება და ყურძნის მოსავლის მოყვანა, შესაბამისად კომპანია დგას სტიქიური უბედურების რისკი წინაშე, რაც გამოიხატება პოტენციურ უხვ ნალექში (სეტყვა), ან მაღალ ტემპერატურაში (გვალვა). გამომდინარე იქედან, რომ კომპანიამ ექსპლოატაციაში ვენახი მიიღო 2022 წელს, არ ჰქონდა აღნიშნული რისკები დაზღვეული, თუმცა შემდგომ პერიოდებში გეგმავს აღნიშნული რისკის დაზღვევას.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

_____ ალექსანდრე ჩხაიძე

შპს „გურჯაანი აგრო“

მმართველობის ანგარიშგება


2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

სტიქიური უბედურების რისკი - კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ვენახების გაშენება და ყურძნის მოსავლის მოყვანა, შესაბამისად კომპანია დგას სტიქიური უბედურების რისკი წინაშე, რაც გამოიხატება პოტენციურ უზენაეს ნალექში (სეტყვა), ან მაღალ ტემპერატურაში (გვალვა). გამომდინარე იქედან, რომ კომპანიამ ექსპლოატაციაში ვენახი მიიღო 2022 წელს, არ ჰქონდა აღნიშნული რისკები დაზღვეული, თუმცა შემდგომ პერიოდებში გეგმავს აღნიშნული რისკის დაზღვევას.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



ალექსანდრე ჩხაიძე